ეროვნული ბიბლიოთეკა

# 26 მაისი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა

რომელიც განხორციელდა 1918 წელს და საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების შემდეგ გუშინ პირველად აღნიშნა იგი ქართველმა ხალხმა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

მებრძოლი გუშაგი | Боевой страж

МВД

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 27 მაისი 1989 წელი ● № 22 (3102) ● СУББОТА, 27 мая 1989 г.

## სიმხნე და გულოვანება...

1918 წლის 26 მაისს, ნაშუადღევის ხუთ საათსა და 10 წუთზე საქართველოს ეროვნულმა საბჭომ თბილისში გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან საქართველო იყო სუვერენული დამოუკიდებელი სახელმწიფო.

მმართველობის ფორმად ცხადდებოდა დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც თანასწორად უზრუნველყოფდა ყველა მოქალაქის პოლიტიკურ უფლებებს, განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნიდა მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს, კეთილმეზობლურ ურთიერთობას დაამყარებდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით მეზობელ სახელმწიფოებთან და ერებთან.

ასეთი კეთილშობილური ზრახვებითა და სურვილებით წარსდგა ბრძოლების ქარტეხილებში შობილი ახალი რესპუბლიკა მაშინდელი გამძვინვარებული მსოფლიოს წინაშე.

ეს იყო თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის 117 წლის ნანატრი ოცნების ახდენა.

ეს იყო ეროვნული და დემოკრატიული ძალების შესაშური კონსოლიდაცია.

ეს იყო დიდი იმედი და აღფრთოვანება, დაუოკებელი რწმენა მომავლისა.

სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით 26 მაისი აღინიშნება, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის დიდმნიშვნელოვანი თარიღი.

წარსულის გახსენება და მოვლენათა სიღრმეში წვდომა ყოველთვის აღგვიძრავს ახალ საფიქრალს, რადგან მას, ვინც არ აფასებს გარდასულ დღეთა დიდებულებას, მოკვეთილი აქვს ხვალინდელი იმედი.

დღეს მთელი საქართველო ახალი იმედებით სუნთქავს, ერთსულოვნად ესწრაფვის ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებათა გამდიდრებას.

დიდი ილია ბრძანებს:

„...ბევრჯერ გვითქვამს და ეხლაც განვიმეორებთ, რომ ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიან სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებული და დიდ-ბუნოვან კაცთა უწმინდნესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი. ერი, რომელსაც ახსოვს ამ თავისის ერთიანის სულის წირვა, ეგ თავის დიდ-ბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნევდება, ჰგულოვნდება და თავმოწონებულია ყველგან, ჭირია თუ ლხინი. ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუვარდება, არ დაუძაბუნდება არავითარს ზედმოსეულს უბედურებასა და განსაცდელსა. იგი გულგაუტეხელად იბრძვის, იღწვის, გამხნევებული თავის მამა-პაპის მაგალითი და ანდერძითა, და მარტო გულგაუტეხელი მებრძოლი დაინარჩუნებს ხოლმე ბურთსა და მოედანს ამ წუთისოფელში".

არ მოგვკლებოდეს გაკეთება და გამხნევება, გულოვანება და ერთიანი სულის წირვა მშვიდობის, სიკეთის, სამართლიანობის სადიდებლად!

## СЪЕЗД НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ СССР

**25 мая** в 10 часов в Кремлевском Дворце съездов начал работу Съезд народных депутатов СССР.

Открывая его, председатель Центральной избирательной комиссии **В. П. Орлов** от ее имени сердечно поздравил депутатов с избранием в высший орган государственной власти нашей страны, с большим доверием, которое оказал им советский народ.

Выступивший сообщил, что на Съезде присутствуют 2.155 народных депутатов СССР из 2.249 избранных.

В результате голосования предложенные Съезду повестка и порядок работы принимаются подавляющим большинством голосов.

После дискуссии утверждается временный регламент.

Для проверки полномочий народных депутатов СССР Съезд избрал Мандатную комиссию.

На первом заседании депутаты вставанием почтили память погибших в Тбилиси.

С депутатским запросом выступил депутат **В. Ф. Толпежников.** По поручению своих избирателей он потребовал огласить на Съезде фамилии тех, кто отдал приказ об избиении мирных демонстрантов в Тбилиси 9 апреля и применении против них отравляющих веществ.

Вечернее заседание Съезда открылось докладом Мандатной комиссии.

Депутаты обсудили вопрос об избрании Председателя Верховного Совета.

* * *

По итогам тайного голосования, завершившегося поздно вечером 25 мая, Генеральный секретарь ЦК КПСС **М. С. Горбачев** избран Председателем Верховного Совета СССР на Съезде народных депутатов СССР.

## გაჰკიცხეს, მხარიც დაუჭირეს...

ანუ იმ საჭირბოროტო საკითხების შესახებ რომლებიც მთელი კავშირის მასშტაბით დროულ გადაწყვეტას მოითხოვს გარდაქმნისა და საჯაროობის, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პირობებში და რომელთა შესახებ ასეთი გულახდილი და საქმიანი საუბარი არც ისე ადვილი წარმოსადგენი იყო ამ ცოტა ხნის წინ...



**1989 წლის 16 მაისს გორის შს რაიონულ განყოფილებაში ჩატარდა ღია პარტიული კრება, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მთელმა პირადმა შემადგენლობამ. კრებაზე სხვა საკითხებთან ერთად განხილული იქნა ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნებული სტატია „გიწვევთ მიტინგზე"... ქ. ლენინგრადში მიმდინარე წლის 9 აპრილს მილიციის თანამშრომლების მიერ ჩატარებული არასანქციონირებული მიტინგის შესახებ. განხილვამ დიდი ინტერესი გამოიწვია პირად შემადგენლობაში, რომლის დროსაც ნათლად იგრძნობოდა თანამშრომლებზე დემოკრატიზაციისა და გარდაქმნის პერიოდის გავლენა. ისინი აქტიურობდნენ, კამათში მონაწილეობა მიიღო პირადი შემადგენლობის დიდმა ნაწილმა, მათ მიერ გამოითქვა მრავალი წლის მანძილზე დაგროვილი კრიტიკული შენიშვნა და საქმიანი წინადადება, რომლებზეც სხვა დროს ალბათ თავს შეიკავებდნენ. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ კრიტიკა იყო მრავალმხრივი.**

**შს რაიგანყოფილების უფროსმა, მილიციის მაიორმა უ. მგელაძემ** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საკითხი ძალზე მწვავეა და აქტუალური, რომელმაც არ შეიძლება გულგრილი დატოვოს არც ერთი თანამშრომელი, ვისთვისაც ძვირფასია შს ორგანოების სახელი, უყვარს თავისი პროფესია და აწუხებს მისი მომავალი. ორმაგი გრძნობა ეუფლება კაცს ამ დროს, როდესაც მსჯელობაა ლენინგრადელი კოლეგების მოქმედებაზე. ყველასათვის ნათელია, რომ მათ დაარღვიეს მილიციის წესდება, დისციპლინა და სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანონი მიტინგების ჩატარების შესახებ. ამაში მათ ნამდვილად ვერ გაამართლებ, მაგრამ არის მეორეც, რასაც გენერალი მ. მიხაილოვიც აღნიშნავს, რომ მიტინგის მონაწილეთა ყველა მოთხოვნა სამართლიანია.

მაგრამ აქ არ შეიძლება არ დაეთანხმო მიტინგის მონაწილეებს, იმდენი სიძნელეები და გადაუჭრელი პრობლემები დგება ყოველდღიურად შს ორგანოების წინაშე და სწორედ ამიტომ საჭიროა გადამჭრელი და რაც ყველაზე მთავარია სწრაფი მოქმედება. მართალია მილიციის თანამშრომლებს ფიცი აქვთ დადებული, აქვთ წესდება, მაგრამ თუ დავფიქრდებით დავრწმუნდებით, რომ ისინიც ჩვენი ქვეყნის მოქალაქენი არიან, რომლის უფლებებიც და მოვალეობებიც დღევანდელი პირობებისათვის სრულიად არ არის განსაზღვრული. ისინი დღეს ყველაზე ცუდ მდგომარეობაში არიან მაშინაც, როდესაც თვითონ გამოდიან მიტინგზე და მაშინაც, როდესაც სხვის მიერ ჩატარებული მიტინგის დროს ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობას. ეს მოვლენა კიდევ ერთი არგუმენტია იმისა, რომ საქმით და არა სიტყვიერად დაჩქარდეს სამართლებრივი რეფორმა, კანონი საბჭოთა მილიციის შესახებ.

**სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსმა, მილიციის კაპიტანმა გ. თუშიშვილმა** აღნიშნა, რომ თითოეულ ჩვენგანს კარგად ესმის ლენინგრადელი კოლეგების მიერ დაშვებული შეცდომები, თუ რა მცდარი გზა აირჩიეს სწორი მოთხოვნების დასაყენებლად, ამ საკითხში ჩვენი აზრი ერთია, მაგრამ ისიც არ შეიძლება არ ითქვას თუ რა მდგომარეობამ და რა გარემოებებმა მიიყვანა ისინი აქამდე. როგორ შეიძლება გარდაქმნა და ახლებური

(დასასრული მე-2 გვ-ზე).

### 28 МАЯ ОТМЕЧАЕТСЯ ДЕНЬ ПОГРАНИЧНИКА

## ОХРАНА ГРАНИЦЫ— ЗАБОТА ОБЩАЯ

ЗАВТРА советские люди в очередной раз отметят День пограничника. Не только воины в зеленых фуражках, но и весь советский народ охраняет границу. Вносят свой вклад в это дело государственной важности и работники милиции, в том числе сотрудники Богдановского РОВД.

Активно участвуя в выявлении и задержании нарушителей, наши сотрудники проявляют бдительность, хорошее знание оперативной обстановки в районе, высокое профессиональное мастерство. Не случайно только в нынешнем году за задержание лиц, подозреваемых в намерении нарушить границу, нагрудным знаком «Отличник погранвойск» второй степени и медалью «За отличие в охране государственной границы» награжден участковый инспектор Богдановского РОВД лейтенант милиции М. Баласанян. За оказание активной помощи пограничникам награжден знаком «Отличник погранвойск» первой степени участковый инспектор Р. Карслян. Добрые традиции сотрудничества и взаимодействия по охране границы сотрудников милиции и пограничников продолжаются.

Л. ЧОПУРЯН,
капитан милиции, старший инспектор Богдановского РОВД.

# გაჰკიცხეს, მხარიც დაუჭირეს...

(დასასრული).

მუშაობა მოსთხოვო მილიციის მაშინ, როდესაც იგი მუშაობს ძველი კანონებით, ძველი მეთოდებით, ინსტრუქციებით, ტექნიკური აღჭურვილობით და სხვ.

ერთი პატარა მაგალითით რამდენიმე დიდი მინუსის თქმა შეიძლება, როგორ შეიძლება ინსპექციის სპეცმანქანას დაუწესო ბენზინის ხარჯვის ლიმიტი (თანაც ასე ცოტა), და ექსპლუატაციის ვადა. ეს ფაქტი ჯერ ერთი, ლაპარაკობს მეტად ცუდ მატერიალურ ტექნიკურ ბაზაზე მაშინ, როდესაც დამნაშავეთა სამყარო აღჭურვილია საუკეთესოდ, მეორე მხრივ კი, რაც გაცილებით უფრო ცუდია, ძველი ინსტრუქციების და ნორმატიული აქტების უხეირობაზე და რიგ შემთხვევაში უაზრობაზე.

აქედან გამომდინარე ლენინგრადელების ისევე, როგორც ჩვენ ბევრი პრობლემები გვაქვს სათქმელი და გადასაჭრელი.

**უბნის ინსპექტორმა მილიციის მაიორმა ბ. მაისურაძემ** აღნიშნა, რომ დღევანდელ მილიციის ცხოვრებაში ბევრი საჭირბოროტო საკითხია გადასაწყვეტი. მათ შორის ერთი მტკივნეულია თანამშრომელთა ხელფასის რაოდენობა. ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ხელფასი საშუალოზე მაღალია და აქ უკმაყოფილების გამოხატვა უმადურობაა, მაგრამ თუ ღრმად ჩავიხედებით საქმის ვითარებაში, გავითვალისწინებთ არანორმირებულ სამუშაო დროს, ტექნიკური საშუალებების და სამსახურებრივი ტრანსპორტის თითქმის სრულ უქონლობას, რისკს, რასთანაც დაკავშირებულია თანამშრომლის ყოველდღიური ცხოვრება და საქმიანობა, ხელფასის მყიდველობით უნარიანობას, მაშინ დავრწმუნდებით იმაში, რომ მილიციის თანამშრომელს მის დატვირთვასთან და პასუხისმგებლობასთან შედარებით დაბალი ხელფასი აქვს. ამ საკითხში არ შეიძლება არ გავუგოთ ლენინგრადელ კოლეგებს. ამავე დროს ვფიქრობ, რომ ყოველივე ეს მათ სხვა ფორმით უნდა გამოეხატათ...

სიტყვით გამოვიდნენ სხვა ამხანაგებიც რომლებსაც ლენინგრადელების გამოსვლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიაჩნიათ დღევანდელ მილიციაში მის საქმიანობასა და ცხოვრებაში დაგროვილი ნეგატიური მოვლენების ზედაპირზე ამოტივტივება, რაც უფრო მეტად გამოჩნდა დემოკრატიზაციისა და გარდაქმნის პერიოდში. ჩვენი აზრით, დაყოვნებისათვის დრო აღარ რჩება, საჭიროა სიტყვიდან საქმეზე გადასვლა. ამისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავაყენოთ რიგი საკითხებისა, რომლებიც სხვა პრობლემატური საკითხების გადაწყვეტასთან ერთად ხელს შეუწყობს შექმნილი ვითარების გამოსწორებას და შს ორგანოებში გარდაქმნის დაჩქარებას, მისი ბრძოლისუნარიანობის მკვეთრ ამაღლებას:

**— საჭიროდ მიგვაჩნია გადაისინჯოს ყველა ბრძანება, ინსტრუქცია, ნორმატიული აქტები და სხვა დოკუმენტები, ამოღებული იქნას ყველა მოძველებული და დროგასული;**

**— ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს ექსპერიმენტებს, არ შეიძლება ბრძანება იყოს ან რაღაც გარკვეული პერიოდისათვის, ან ვიღაცის გულისათვის ან „უბრალოდ“ განახლების გულისათვის. ყველა ბრძანება ან კანონი უნდა გამომდინარეობდეს საქმიდან, პრობლემიდან და უნდა ემსახურებოდეს მის ლოგიკურ გადაწყვეტას.**

**— უნდა გაუმჯობესდეს კადრების შერჩევისა და კვალიფიციური მომზადების საკითხი. ეს პრობლემა არ შეიძლება განხილული იქნეს და გადაიჭრას ცალკე, როგორც განყენებული პრობლემა. ამაში არაერთგზის დავრწმუნდით. წლების მანძილზე ლაპარაკია კადრების პრობლემებზე, მაგრამ შედეგი არ არის. ეს იმიტომ, რომ კადრების პრობლემა უნდა გადაიჭრას კომპლექსში შს ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასთან ერთად, თანამშრომლების შესაბამის ანაზღაურებასთან და შრომისა და ყოფაცხოვრების კარგი პირობების შექმნასთან ერთად;**

**— თანამშრომლები უფრო მეტად უნდა გრძნობდნენ კანონის, მთავრობის და ხალხის მხარდაჭერას და თანადგომას, ამისათვის მთლიანად უნდა შეიცვალოს არა მარტო კანონი ან ინსტრუქციები, არამედ მთლიანად მიდგომა მილიციისადმი;**

**— დემოკრატიზაცია და ჰუმანიზაცია უნდა იყოს მიმართული კეთილსინდისიერი და პატიოსანი მოქალაქის მისამართით და არა დამნაშავის მისამართით, რამაც კიდევ უფრო გაართულა ჩვენი საქმიანობა. ამის გამო ხშირია სხვადასხვა აზრი ერთ საკითხზე, ან შემთხვევაზე სისხლის სამართლის სამსახურს, გამოძიებას, პროკურატურასა და სახალხო სასამართლოს შორის. აქედან გამომდინარე ზარალდება ჭეშმარიტება, მოქალაქე, მილიციის ავტორიტეტი.**

ამასთან ერთად სხვა გამომსვლელებმა დააყენეს საკითხები, რომლებიც ჩვენი კოლექტივის პრობლემებს შეეხება და მოითხოვს აუცილებელ გადაწყვეტას.

რაიგანყოფილების ღია პარტიულმა კრებამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია ლენინგრადელი მილიციის თანამშრომლების მიერ საკითხების დაყენებაში არჩეული არასწორი გზა და დაშვებული შეცდომები. ამასთან ერთად აღნიშნულია ისიც, რომ დაყენებული წინადადებების უმრავლესობა საქმიანია და იგრძნობა გულისტკივილი არა მარტო ლენინგრადელების, არამედ მთელი ქვეყნის მილიციის თანამშრომლებისა.

**დ. მაღლაშვილი,**
**გორის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის კაპიტანი.**

---

იდეოლოგიურ მუშაობას სრულყოფა

# პოლიტინფორმატორი



**ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ** პირობებში მთელი იდეოლოგიური მუშაობა, მისი ერთ-ერთი წამყვანი დარგი პოლიტიკური აგიტაცია მთავარ მიზნად ისახავს იდეოლოგიურად უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი უდიდესი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა, აღზარდოს ადამიანებში კომუნისტური შეგნებულობა, პარტიის ეს მოთხოვნები სულსა და გულში აქვს გამჯდარი გალის შს რაიგანყოფილების პოლიტინფორმატორს, მილიციის გენადი ლაჭავას.

მაგრამ პოლიტინფორმატორის საპასუხისმგებლო მოვალეობა რომ შეასრულო, პირველ რიგში საჭიროა თვით იყო განათლებული, მომზადებული, შეგნებული პასუხი გასცე ცხოვრების მიერ წამოჭრილ საკითხებს. სწორედ ამიტომ ბევრს მუშაობს თავის თავზე გ. ლაჭავა, კითხულობს პოლიტიკურ თუ მხატვრულ ლიტერატურას, ჟურნალ-გაზეთებს, აკეთებს ამონაწერებს, ესწრება ყოველ ახალ თეატრალურ დადგმასა და კინოფილმს.

გ. ლაჭავა პოლიტინფორმაციაში დიდ ყურადღებას უთმობს პოლიტიკურ თემებს. მან კარგად იცის რომ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხები თანამშრომლებში ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. ამასთან პოლიტინფორმატორს როდი ავიწყდება საუბრები ეკონომიკისა, კულტურის, საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე. ან ტირელიგიურ თემებზე და სხვა.

„ადამიანები ყველა ერთი ხასიათისა როდი არიან. სწორედ ამიტომაა საჭირო მათთან ინდივიდუალური მუშაობაც. დიდი რუსი პედაგოგი უშინსკი წერდა: თუ პედაგოგიკას სურს ადამიანის ყოველმხრივი აღზრდა, მაშინ მან უწინ ყოველმხრივ უნდა შეისწავლოს იგი.“ ეს ჩანაწერი გენადის რვეულებში აღმოვაჩინე.

1983 წელს სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებულად დაინიშნა ლესტამბერ ბალიშვილი, თავიდანვე იგი ვერ შეეწყო კოლექტივს, შემჩნეული იყო უტაქტობაში, კონფლიქტურ სიტუაციებს ქმნიდა ეს მხედველობიდან როდი გამორჩა პოლიტინფორმატორს, დამოესაუბრა მას, გაიგო მისი გულისტკივილი მიზეზები. მოფიქრებული, გააზრებული საუბრების შედეგად ახალგაზრდა მუშაკი გამოსწორების გზას დაადგა, კრიტიკა სწორად გაიგო სათანადო დასკვნები გააკეთა და დღეს ერთ-ერთი მოწინავე მუშაკია.

რაიგანყოფილებამ ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო მოძრაობა მშობლიური კოლექტივის სანიმუშო წესრიგისა და კულტურის კერად გადაქცევისთვის. ამ საკითხზე გენადის ყოველი საუბარი გაჟღენთილია იმის ღრმა შეგნებით, რომ კომუნისტური მორალი არ შეიძლება ურიგდებოდეს უიდეობას ბიუროკრატიზმს, უპრინციპობას, მლიქვნელობას, ადამიანებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას.

ხვალ პოლიტინფორმატორ გენადი ლაჭავას მორიგი შეხვედრა აქვს მსმენელებთან.

**ჯ. ბაბელია,**
**გალის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტიკურ დარგში, მილიციის მაიორი.**

---

## 1 ИЮНЯ МЕЖДУНАРОДНЫЙ ДЕНЬ ЗАЩИТЫ ДЕТЕЙ

**В происходящих на дорогах республики авариях, наверное, самыми невинными жертвами являются дети. В прошлом году в республике погибло в результате ДТП 34 и получили травмы 145 детей в возрасте до 16 лет. За четыре месяца 1989 года число погибших составило 10 человек, получивших травмы — 38 (в прошлом году за те же четыре месяца погибло 5, травмировано 37).**

# Безопасность детей — забота взрослых



ПОЗНАКОМИВШИСЬ с подобными цифрами, нельзя, конечно, остаться равнодушным. Невольно возникает вопрос — почему так высок процент детского травматизма? Известно ведь, что воспитание пешехода должно начинаться с раннего возраста, и необходимо, чтобы взрослые постоянно внушали детям уважение к правилам дорожного движения, вырабатывали у них умение ориентироваться в сложной обстановке интенсивного транспортного движения.

Что надо сделать для улучшения данной работы, для того, чтобы избежать гибели и травм детей, — с таким вопросом мы обратились к руководителям заинтересованных организаций, предложив им высказать свое мнение.

**Р. Янтбелидзе, майор милиции, начальник отделения агитации и пропаганды УГАИ МВД ГССР:**

— Мне кажется, что большинство ДТП происходит из-за незнания людьми, особенно детьми, элементарных правил дорожного движения. Во многих школах изучение этого предмета носит формальный характер или вообще отсутствует. А ведь каждый педагог знает, что ПДД ученик должен изучить именно в школе, в детском саду.

Одной из причин незнания ПДД является и то, что в грузинских школах отсутствуют учебники и методическая литература на родном языке. В этой связи хочу отметить, что уже готовы грузинские переводы соответствующих учебников «Изучение правил дорожного движения» для педагогов и «Правила дорожного движения» для учеников I—VIII классов.

Оба учебника одобрены Госкомитетом СССР по народному образованию и ГУГАИ МВД СССР. Переводы этих книг мы сдали в Министерство народного образования республики и надеемся, что они вскоре будут напечатаны.

**О. Бердзенишвили, начальник управления культуры Тбилгорисполкома:**

— Во избежание дорожно-транспортного травматизма детей нами постепенно реализуется распоряжение Тбилгорисполкома «Об организации детских городков в парках культуры и отдыха». Сейчас такие типовые городки построены в парках культуры и отдыха им. И. Сталина, С. Орджоникидзе, В. Киквидзе, а также в зоологическом парке. В 1990 году намечено построить детские автогородки на территории Тбилисского моря и в парке «Дружба».

**В. Черникова, завуч 37-ой тбилисской средней школы:**

— Одной из причин увеличения детского травматизма является, как мне кажется, утрата существовавших ранее хороших традиций. Раньше в школах организовывали отряды юных инспекторов движения, выставляли целые наряды около школы, у перекрестков и пешеходных переходов. Дети с удовольствием регулировали движение. Почему-то Министерство народного образования упразднило эту практику. Мало проводится викторин, конкурсов, соревнований, которые бы включали новые, творческие формы и отвечали сегодняшним требованиям. Нам нужна помощь со стороны сотрудников ГАИ, а они очень редко появляются около школ, где водители часто нарушают правила, допускается скопление автомобилей, а в ряде мест нет даже предупредительных знаков.

**В. Авалишвили, заведующий экспериментальным детсадом-яслями № 95 Октябрьского района г. Тбилиси:**

— Наш сад-ясли экспериментальный, здесь дети занимаются народным творчеством. Мы уже с раннего возраста готовим детей к школьным занятиям. Хоть по программе не предусмотрено обучение их ПДД, у нас есть специально выделенное время, когда старшие воспитанники обучают малышей элементарным правилам — при каком свете можно переходить улицу и т. д. В перспективе у нас намечено строительство маленького автогородка для малышей.

Нельзя не согласиться с приведенными выше мнениями, что обучать ПДД надо с самого раннего возраста, и особенно важны здесь наглядные пособия, автогородки, где играя, дети могли бы изучать правила дорожного движения. Немало сделано МВД республики в этом направлении, но не всегда проведенная работа дает нужные результаты. Так, несколько лет назад УГАИ МВД ГССР за пределами республики приобрело за довольно крупную сумму и безвозмездно передало пионерскому городку «Мзиури» стандартного типа автогородок со всем оборудованием. Однако он до сих пор не смонтирован. Более того, за прошедшее время оборудование разбазарено и настолько заржавело, что устройство этого автогородка сейчас уже не представляется возможным.

Между тем, нарушения во многом обусловлены тем, что большая часть учащихся (да и их родителей) не знакома с ПДД. Проблема эта очень острая, требующая скорейшего решения.

**А. МАЛАЯНЦ**



**НА СНИМКАХ: 1. Вот так выглядит бывший автогородок в парке культуры и отдыха им. С. Орджоникидзе.**
**2. Автогородок в 99 средней школе, построенный по инициативе родителей.**

**ОТ РЕДАКЦИИ: К сожалению, далеко не во всех школах и парках культуры и отдыха уделяют должное внимание строительству детских автогородков с целью обучения детей дорожным знакам, а там, где они были, сейчас используются не по назначению. Так, в парке им. Орджоникидзе на территории бывшего автогородка сейчас сделан спорткомплекс, а детские машины, хоть они и есть, но лишь «напрокат», стали источником доходов для некоторых. Тем самым теряется функция подобных площадок.**

**Видимо, соответствующим службам МВД ГССР следует проявлять больше настойчивости в этом вопросе, как это делается в некоторых случаях.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## Трагедия, которой могло не быть

**ОПАСНОСТЬ**, которую представляет для окружающих человек, находящийся в нетрезвом состоянии, общеизвестна. Неумеренное употребление алкоголя ведет к потере контроля над собой, толкает людей на ничем не обоснованные конфликты, последствия которых, порой, как в описываемом случае, бывают трагические.

Ничем особенным не привлекли к себе внимание поднявшиеся в один из мартовских вечеров в поезд Тбилиси—Хашури на ст. Дзегви братья Джемал и Джотто Джапаридзе. Однако именно к ним подошел явно находящийся навеселе и ищущий приключений молодой человек, к которому чуть позже присоединились его два также подвыпивших спутника.

Затеяв беспредметный разговор, они вели себя вызывающе, заявили братьям, что они им не нравятся, и по этой причине предложили им покинуть вагон.

Братья, естественно, не подчинились этому необоснованному и ничем не спровоцированному требованию, пытались урезонить неизвестных. Неожиданно один из трех молодых людей нанес Джемалу удар кулаком в лицо. В ходе завязавшейся затем драки пьяные дебоширы нанесли братьям Джапаридзе несколько ножевых ранений и, покинув место схватки, направились в сторону хвостовых вагонов поезда. Рана Джотто оказалась смертельной.

Сразу же по получении известия о случившемся в ЛОВД на ст. Тбилиси были созданы три оперативные группы, занявшиеся розыском преступников. «К сожалению, надо отметить некоторое равнодушие, проявленное присутствовавшими при конфликте пассажирами, в результате чего свидетельские показания были далеко не полными, — рассказывает начальник ЛОВД на ст. Тбилиси подполковник милиции А. Ахалая, — тем не менее, в общих чертах удалось установить внешние приметы нападавших, и то, что один из них в ходе драки также получил ранение. К розыску были подключены сотрудники Каспского и Горийского линотделов, находящихся по пути следования поезда, которым было поручено установить, на какой станции сойдут эти трое и задержать их».

Тем временем оперативные группы ЛОВД ст. Тбилиси обследовали в поисках следов преступников территорию Мцхетского и Каспского районов. Утром 18 марта группа, возглавляемая заместителем начальника ЛОВД по оперработе майором милиции Л. Дарсадзе и помощником тбилисского транспортного прокурора З. Бигвава близ железнодорожного полотна недалеко от места происшествия обнаружила следы крови. Хозяева расположенного неподалеку дома рассказали, что прошлой ночью к ним заходили трое неизвестных, один из которых был ранен в руку. После оказания помощи раненому они сели в грузовую машину, направлявшуюся в сторону г. Хашури.

Параллельно другими группами сотрудников милиции было установлено, что 18 марта в Каспскую больницу явился молодой человек, имеющий ножевое ранение руки, которое объяснил тем, что поранился стеклом. В ходе дальнейших оперативно-розыскных мероприятий было установлено, что им является житель г. Каспи, нигде не работающий Зураб К., выявлены и его дружки — Василий К. и Вепхо С. Дома у последнего были обнаружены плащ и брюки со свежими следами крови. Таким образом цепочка расследования замкнулась, и спустя менее полутора суток после убийства преступники были выявлены и взяты под стражу.

В настоящее время материалы дела переданы в прокуратуру для дальнейшего расследования, по окончании которого преступники предстанут перед судом и понесут за свое злодеяние заслуженное наказание.

**А. ЦАТУРОВ.**

## ყველაზე მნიშვნელოვანი შტრიხი

„**მოქალაქეებთან** ურთიერთობაში კორექტული და თავაზიანია, თანამოსაქმეთა შორის სარგებლობს ავტორიტეტით..." ეს სტრიქონები საჩხერის შს რაიგანყოფილების დროებითი დაკავების საკნების უფროსის, მილიციის ზემდეგ ანზორ ლაბაძის სამსახურეობრივი დახასიათებიდან არის ამოწერილი.

ეს ლიტონი სიტყვები არ გეგონოთ. შინაგან საქმეთა ორგანოებში ორი ათეული წლის ერთგულმა, პატიოსანმა სამსახურმა, ჭაღარასთან ერთად გამოცდილებაც, ოპერატიულობაც შესძინა. სამორიგეო ნაწილში ტელეფონის გაბმული ზარის ხმა გაისმა. აღელვებული უცნობი მოქალაქე ერთ-ერთი სავაჭრო ობიექტის გაქურდვის ფაქტს იტყობინებოდა. მსგავსი შემთხვევისათვის დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში მობილიზებულია რაიგანყოფილების ერთი ოპერატიული ჯგუფი. ოფიცრებს მთელი ღამით (შესაძლოა მთელი კვირითაც) თვალის მოხუჭვა არ უწერიათ, მაგრამ მილიციის ზემდეგი ა. ლაბაძე, რომელიც შეიძლება რამდენიმე წუთის წინ დაბრუნდა საგანგებო დავალებიდან, უყოყმანოდ დგება მათს გვერდით.

განთიადისას ბურუსი იფანტება. მილიციის მუშაკებმა დილამდე ანზორის აქტიური თანადგომით, ცხელ კვალზე მოჰფინეს ნათელი სახელმწიფო ქონების ქურდობის ფაქტს. ეჭვმიტანილი დაკავებულია, ნივთმტკიცება ამოღებულია.

ა. ლაბაძის სამსახურებრივი საქმიანობის ერთი ეპიზოდი გავიხსენეთ. არაერთ მსგავს შემთხვევაზე შეგვეძლო მოგვეთხრო, მაგრამ ზემდეგის პორტრეტს ბევრი რამ დააკლდებოდა თუ მისი პირადი ცხოვრებიდან ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შტრიხს არ გავიხსენებდით — იგი მეუღლე თინა ფაცაციასთან ერთად სამშობლოს შვიდ ვაჟს უზრდის.



**ო. ქუსიანი,**
**საჩხერის შს რაიგანყოფილების უფროსი უბნის ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი.**

## «СОВЕТСКАЯ МИЛИЦИЯ» № 4

**ВЫШЕЛ в свет очередной, четвертый в нынешнем году, номер журнала «Советская милиция», который открывается статьей доктора философских наук, профессора, руководителя кафедры научного коммунизма Московской высшей партийной школы В. Трушкова «Перечитывая Ленина заново». 119-й годовщине со дня рождения В. И. Ленина посвящен материал под заголовком «Чтобы плыть в революцию дальше...».**

**О кампании выборов народных депутатов рассказывается в материалах «Вся власть Советам» майора милиции А. Ермолаева, «И пусть меня не избрали...» старшего участкового инспектора Пролетарского РОВД г. Калинина майора милиции В. Лавренко. Под рубрикой «Курсом девятнадцатой партийной...» в номере опубликована статья заведующего сектором по административным органам Комитета народного контроля СССР Н. С. Еременко.**



## საშიში ბოროტმოქმედის კვალზე

... **რესპუბლიკის** რაიონულ და საქალაქო განყოფილებებში მოვიდა შეტყობინება, რომ შრომა-გასწორების დაწესებულებებიდან გაიქცა განსაკუთრებით საშიში ბოროტმოქმედი, რომელიც ადრე რამოდენიმეჯერ იყო ნასამართლევი შეიარაღებული ძარცვისათვის. გამოუსწორებელ რეციდივისტს ბოლოს სახელმწიფო და პირადი ქურდობისათვის მიესაჯა 7 წელი. ერთი წლის პატიმრობის შემდეგ მან მოახერხა ნაგვის მანქანით ესარგებლა და გაპარულიყო. დაიწყო მისი ძებნა. და აი ოჩამჩირის შს რაიგანყოფილებაში მიიღეს ცნობა, რომ ბოროტმოქმედი იმალებოდა ტყეში, შემდეგ კი სოფელ ჯგერდაში თავის ნათესავთან. მასზე უკვე გამოცხადებული იყო საკავშირო ძებნა. ოპერატიული ინფორმაციის მიღებისთანავე შეიქმნა სპეციალური ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა განყოფილების უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი ვ. ახუბა. ჯგუფში შევიდა 17 თანამშრომელი.

შეტყობინებისთანავე მთელ ჯგუფს მიეცა ინსტრუქტაჟი, სპეცაღჭურვილობა, იარაღი. ადგილზე მისვლისთანავე ბლოკირებული იქნა მთელი ტერიტორია. ახლომახლო სახლებში მაცხოვრებლები გააფრთხილეს, რომ ბინებიდან არ გამოსულიყვნენ. ხმის გამაძლიერებელი დანადგარის მეშვეობით ბოროტმოქმედს მიმართეს, რომ სახლი ბლოკირებული იყო და წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კარი გაიღო და გამოჩნდა სახლის პატრონი. ამ დროს ოპერატიულ ჯგუფს გამოეყო ოთხი თანამშრომელი, განყოფილების უფროსი ვ. ახუბა, მოადგილე, მილიციის მაიორი ი. ივანოვი, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ს. ბერძენიშვილი და სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული, მილიციის მაიორი ბ. ქობალია. ოთახში არავინ არ ჩანდა. დაიჭრიალა ტანსაცმლის კარადის კარმა და... სულ რამოდენიმე წამში შეიარაღებული ბოროტმოქმედი ხელბორკილით იატაკზე იწვა.

**ბ. მგალობლიშვილი.**

**სურათზე:** ოპერატიული ჯგუფის წევრები.

ავტორის ფოტო.

## მეტი მომთხოვნელობით

...**სამუშაო** საათები მთავრდებოდა, როდესაც ქალაქ ფოთის კულტურის სახლის მუშაკებმა ოთახებში კვამლის სუნი იგრძნეს. მალე გამოირკვა რომ, პირველ სართულში კლუბის სცენაზე ხანძარი იყო. თანამშრომლებმა უმალვე იხმეს ქალაქის სახანძრო დაცვა. მორიგე ქვეგანყოფილებაც სახანძრო ნაწილის უფროსის შ/ს კაპიტნის ტ. ხოშტარიას მეთაურობით მყისვე გაემართა შემთხვევის ადგილისაკენ. სწრაფად და ოპერატიულად ჩატარდა ხანძრის დაზვერვა. სწორად განაწილდა ძალები და საშუალებები და ხანძარი უმნიშვნელო ზარალით იქნა ლიკვიდირებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ხანძრის წარმატებით ქრობას ხელი შეუწყო ხანძრის დროულად აღმოჩენამ. ისიც უნდა ითქვას რომ, ობიექტის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. კერძოდ კი ელექტრომეურნეობა ვერ პასუხობს ელექტრო-ტექნიკურ ნორმებს, კულტურის სახლს არც სახანძრო სიგნალიზაცია გააჩნია. ასე, რომ კულტურის სახლის მესვეურებს მეტი ქმედითობა მართებთ კულტურის კერის სახანძრო უშიშროებისათვის.

**ლ. ჟოჟუა.**

## მოსახლეობა მადლიერია

### ანუ 9 აპრილის დილას დატრიალებული ტრაგედიის გამოძახილი

**იმ** ავბედით 9 აპრილის დილას, როცა მომხდარი ტრაგედიით შეძრწუნებული ხალხი ქუჩას მოეფინა, როცა დრომაც კი თითქოს წაიფორხილა და ერთ ადგილზე გაიყინა, როცა სიცოცხლე არარაობად გადაიქცა და საშინელმა უიმედობამ შეგვიპყრო, იმ მძიმე წუთებში მთელს ქალაქს ჩურჩულით გადაუარა თქვენმა გმირულმა მოქმედებამ და იმ დღის ერთადერთ გამონათებად იქცა გულდამძიმებული ხალხისათვის. თურმე რა ტყუილად გემდუროდით, თურმე რა ტყუილად გებუტებოდით. ან კი რა გვქონდა გასაყოფი ერთი მიწაწყლის შვილებს. როგორ არ გვჯეროდა „ქუკარაჩას" არსებობა, არადა რამდენი „ქუკარაჩა" გვყოლია.

მერე ამბობდნენ ასეთი ბიჭებს თუ ჰყავდა შოთა გორგოძეს რატომ აქამდე არ ვიცოდითო. რამდენიმემ ისიც თქვა — ქუჩაში მილიციას რომ ვხედავ, ხელები გამირბის რომ გადავეხვიო და ალბათ ასეთი სიყვარულის მოპოვებისათვის სიკვდილი ღირდა. აკი არც არად ჩააგდეთ თქვენი სიცოცხლე, როცა ჩვენი გოგო-ბიჭებისათვის გამიზნულ დარტყმებს საკუთარი მკერდი მიუშვირეთ. მაშინ ალბათ არც გიფიქრიათ, რომ იმ ახალგაზრდების სახით სამშობლოს იცავდით და ამას არასოდეს დაივიწყებს ჩვენი ხალხი. შეგიძლიათ იამაყოთ იმ ჭრილობებით გულშიც და სხეულზეც რომ მიიღეთ ჩვენი შვილების მაგივრად. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გვიხარია იმის გაფიქრებაც კი, რომ ქუჩაში ჩვენს ახალგაზრდებს საიმედო მეთვალყურე და დამცველი ეყოლება თქვენი სახით.

გენდობით, მთელი არსებით გენდობით. მოდით ერთ რამეზეც შევთანხმდეთ — ჩვენ შევეცდებით არასოდეს დავარღვიოთ წესრიგი, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ არ ჩაგაყენოთ უხერხულ მდგომარეობაში, მაგრამ თუ მაინც დამაინც რამე შეგვეშლება, თქვენც ისევ კაცურად მოგვექეცით, ხოლო რაც შეეხება დიდ დანაშაულსა და დიდ ბოროტებას, მას, ისევ შეერთებული ძალებით ერთად ვებრძოლოთ.

კიდევ ერთი სათხოვარი გვაქვს — გაუფრთხილდით 9 აპრილს მოპოვებულ ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას. ეცადეთ თქვენს რიგებში ყოველთვის ღირსეული ადამიანები იყვნენ...

ახლა თქვენ მკურნალობთ. გაივლის დრო. საქართველოსაც ასე თუ ისე გადაუვლის ბოლმით დანთხეული დღეები. თქვენც გამოჯანმრთელდებით, დაუბრუნდებით ოჯახებსა და სამსახურს. ჩვენი საზოგადოება პირადად გაეცნობა თითოეულ თქვენგანს და კიდევ ერთხელ გეტყვით მადლიერებით სავსე სიტყვებს. ჩვენი თეატრის კოლექტივიც კიდევ ერთხელ მოწიწებით მოიხრის თავს თქვენს წინაშე, მაგრამ რადგან გვინდა ჩვენი მადლობა რაღაცით გამორჩეული იყოს, ამიტომ გადავწყვიტეთ — როცა ყველანი კარგად გახდებით, ერთ დღეს სპეციალურად თქვენთვის დავდგამთ ქართველი ხალხისთვის ესოდენ საყვარელ ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერს". მოგიწვევთ ჩვენთან. იმ დღეს დარბაზში მხოლოდ თქვენ იქნებით და ჩვენც მხოლოდ თქვენთვის ვიმღერებთ ისე როგორც არასოდეს.

**ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი.**

### საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრს ამხ. შოთა გორგოძეს

**მიმდინარე** წლის 26 აპრილს ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციაში ჩატარდა ჟურნალის სარედაქციო კოლეგიისა და საქართველოს ქალთა რესპუბლიკური საბჭოს აქტივის შეკრება, თბილისში მთავრობის სახლის წინ 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის თაობაზე.

შეკრებილებმა მიიღეს გადაწყვეტილება, გამოეცხადოს დიდი მადლობა თქვენს მუშაკებს, რომლებმაც იმ ურთულეს ვითარებაში დიდი ადამიანური მაღალპატრიოტული თავგანწირვით დაღუპვისაგან იხსნეს ათეულობით ადამიანი.

**ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქტორი**
**მ. ბარათაშვილი,**

**საქართველოს ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე**
**ნ. ჯავახიშვილი.**

ВОЗВРАЩАЯСЬ К НАПЕЧАТАННОМУ

# Факты не подтвердились

**В одном из январских номеров нашей газеты была дана перепечатка опубликованного в газете «Молодежь Грузии» (номер от 5 января) материала «Кого дурачит «Садгенсо?», в котором критиковалась концертная программа агитационно-художественной бригады Дома культуры им. Ф. Э. Дзержинского МВД ГССР. Недавно редакцией получено письмо.**

**В ПИСЬМЕ** сообщается, что руководитель «Садгенсо» В. Хелашвили, работая по совместительству руководителем группы миниатюр в Коджорском Доме культуры, с целью выполнения финансового плана этого учреждения в декабре прошлого года провел в средней школе № 1 Болнисского района платные концерты.

Как сообщает И. Липартелиани, в результате проверки не подтвердились обвинения в том, что В. Хелашвили до начала концерта собрал у ребят купленные ими билеты и сложил в сумку. Этот факт не подтверждают не только члены агитбригады, но и педагоги данной школы, присутствовавшие на концерте. Поскольку было продано 400 билетов, а в зале размещается всего 200 человек, бригаде пришлось провести два концерта. В. Хелашвили попросил одного из педагогов отобрать у детей билеты на второй концерт во избежание путаницы. При помощи самого В. Хелашвили она выполнила его просьбу.

В материале корреспондент пишет, что со сцены звучала откровенная халтура. Однако по разъяснению педагогов школы № 1 все учащиеся остались очень довольны.

В письме т. И. Липартелиани отмечается, что концертная программа «Садгеисо» ежегодно просматривается Республиканским Домом самодеятельного творчества Грузии и получает разрешение на проведение платных и бесплатных концертов. Бригаду награждали почетными грамотами, пресса многократно давала высокую оценку ее работе (газета «Комунисти» от 12 июля 1987 г. и др. публикации).

Корреспондент газеты «Молодежь Грузии» в статье исходит не из интересов дальнейшего развития и становления художественной самодеятельности, а из своих личных амбиций, и доходит до того, что не стесняется даже личных оскорблений в адрес членов агитбригады (...«очень долго кривлялись, строили рожи» и т. д.).

Мы не хотим создать впечатление, что у «Садгеисо» нет проблем, что все у них в порядке, пишет т. И. Липартелиани, но и такой характеристики, которая дана в материале, агитбригада не заслуживает, да это и не соответствует действительности. В письме дополнительно сообщается, что художественному руководителю агитбригады «Садгеисо» объявлен строгий выговор за нарушение трудового законодательства, за использование афиш Дома культуры им. Ф. Э. Дзержинского МВД ГССР при проведении мероприятий по линии Коджорского Дома культуры, самовольное прекращение репетиций во второй половине декабря 1988 года и проведение платных концертов по линии Коджорского Дома культуры без ведома администрации Дома культуры им. Ф. Э. Дзержинского.

**А. ЛЮМИДЗЕ.**

**ОТ РЕДАКЦИИ: Критические выступления газеты, как правило, требуют соответствующего реагирования. К сожалению, не всегда, как и в указанном выше случае, ответы публикуются на страницах газет, что вполне может дезориентировать читателей. Думается, подвергшимся критике органам и подразделениям системы МВД ГССР надо проявлять в этих случаях больше принципиальности, добиваться публикации ответов на критику. Представляется необходимым участие в этом и пресс-группы МВД ГССР.**



**თეატრის** მოყვარულთა შორის დიდი მოწონებით სარგებლობს ახლადშექმნილი ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი, რომლის სულისჩამდგმელი და მთავარი გმირია რესპუბლიკის სახალხო არტისტი კოტე მახარაძე.

ახლახან სპექტაკლს, რომელიც ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას ეძღვნება, ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლის თანამშრომელთა ინიციატივით დაესწრო შინაგან საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრის 80 მსმენელი. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ კოტე მახარაძე შეხვდა სტუმართა ერთ ჯგუფს.

გაიმართა საინტერესო, გულახდილი დიალოგი.

**სურათზე: შეხვედრის დროს.**

**გ. მგალობლიშვილის** ფოტო.

ФАКТ КРУПНЫМ ПЛАНОМ

# ПОДОБНОЕ НЕ ДОЛЖНО ПОВТОРИТЬСЯ

**НАПРЯЖЕННЫМ** и драматичным выдался состоявшийся в прошлое воскресенье полуфинальный кубковый матч, в котором тбилисские динамовцы уступили «Днепру» из Днепропетровска со счетом 1:2. Что ж, спорт есть спорт, всякое бывает, в том числе и поражения, и воспринимать их надо с достоинством, должной выдержкой. Этого-то как раз и не хватило некоторым присутствовавшим на матче болельщикам, из-за хулиганской выходки которых встреча была прервана на 20 минут. Прокомментировать этот неприятный инцидент мы попросили ветерана тбилисского «Динамо», заслуженного мастера спорта СССР С. Метревели.

— Не стану комментировать сам ход матча — его все видели, но замечу, что мне и моим товарищам — ветеранам «Динамо» очень неприятно, что из-за горстки горе-болельщиков было испорчено впечатление от игры, чуть было не пострадала команда.



и неизвестно еще, какое решение примет по поводу происшедшего Федерация футбола СССР, — сказал С. Метревели. Очень обидно и то, что хулиганские действия отдельных далеких от футбола людей бросают тень на всех грузинских болельщиков, всегда славившихся тонким пониманием игры, своей доброжелательностью по отношению как к своим любимцам, так и футболистам других команд. Всем истинным поклонникам замечательной игры, сотрудникам правоохранительных органов, руководству «Динамо», общественности республики надо сделать все возможное для того, чтобы подобные неприглядные эпизоды больше никогда не повторялись. Это наша общая забота.

**დაახლოებით** 8 საათი იქნებოდა როცა ოპერატიული ჯგუფი შემთხვევის ადგილზე მივიდა.

ბალაშვილების ბინა წარმოადგენდა ორსართულიან სახლს, პირველი სართული ეზოდან სამი კიბით დაბლა ჩადიოდა. ქუჩაში ეზოს ჭიშკართან და ეზოში თხუთმეტიოდე ადამიანი შეკრებილიყო, ძირითადად ქალები იყვნენ, რომლებიც სიცივისაგან შალებში იფუთვნებოდნენ. ჯერ კიდევ კარგად არ იყო გათენებული, რის გამოც შეკრებილთა სახეების გარჩევა შეუძლებელი იყო. დამხვდურთაგან ერთი ახალგაზრდა, 21-22 წლის ბიჭი შეეგება მილიციიდან მოსულთ.

— მე ნინოს ძმა ვარ ჯემალი მქვია, საავადმყოფოში რომ წაიყვანეს იმისი, — უთხრა მოსულებს მეორე დღეს, — უპასუხა ჯემალმა, ამ დილასაც ალბათ ხუთ საათზე გავიდოდა, დედა საავადმყოფოში წევს, ექიმებმა თქვეს კიბო აქვსო, ბებია სულ ერთი თვე იქნება, რაც დავასაფლავეთ თვალებში ცრემლი მოერია ჯემალის და თავი ჩაღუნა.

როდესაც გამომძიებელი ყანჩაველი, სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი ლებანიძე და ჯემალი ოთახს ათვალიერებდნენ, უბნის ინსპექტორი ოთარ თულიანი გარეთ დარჩა, მართალია თავისი სამომსახურეო უბანი არ იყო, მაგრამ თავისებური ხიმარდით გამოჰკითხა მეზობლები, ხან ერთთან მივიდა, ხან მეორესთან, ხან მესამესთან ვითარების შესახებ რაღაც რაღაცეები გაიგო და როცა ყანჩაველი და ლებანიძე ჯემალის ესაუბრებოდნენ, უბნის

**ზ. გოგია**

# „თანამედროვე ატა“

(დოკუმენტური რომანი)

ბიჭმა და წინ წაუძღვა ოთახისაკენ..

შესასვლელ კართან გაჩერდა, თითქოს ნებართვას ითხოვს შესასვლელად. წინ გამომძიებელი ყანჩაველი წავიდა და მას ფეხდაფეხ მიჰყვნენ დანარჩენები, ისე, რომ ფეხს ზუსტად იქ ადგამდნენ სადაც გამომძიებელი, ფრთხილობდნენ რათა არაფერი წაეშალათ, არაფერი გაეფუჭებინათ თუ კი კვალის მსგავსი იყო დარჩენილი ადგილზე. მათ ზუსტად ჰბაძავდა ჯემალ ბალიაშვილი, რომელიც სულ ბოლოს შევიდა ოთახში.

— ნინოს ამ საწოლზე ეძინა, — თქვა ჯემალმა და ფანჯრის ქვეშ მდგარ საწოლზე მიუთითა, — მამა კი ამ საწოლზე იძინებს, — მიუთითა მეორე საწოლზე, — მე კი მეორე სართულზე მძინავს ხოლმე.

— ვინ გაგაგებინა მომხდარი ამბავი? — შეეკითხა ჯემალის სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი ლებანიძე.

— ნინოს ყვირილმა გამომაღვიძა — უპასუხა ჯემალმა და დასძინა — ვერ გამოვერკვიე, შემდეგ ავტომანქანის კარების მიჯახუნების ხმა გავიგონე, ძრავის ხმაც მეუცხოვა, წამოვიწიე, ხელმეორედ შემომესმა ნინოს ხმა, კვნესოდა, წამოვვარდი, ისევე ნახევრად შიშველმა ჩამოვირბინე ქვევით, ოთახის კარები ღია იყო და შევვარდი ოთახში. ნინო შუა ოთახში იატაკზე ეგდო აი აქ, აი ასე — და ჯემალმა იქ მყოფს ხელის მოძრაობით უჩვენა თუ როგორ ეგდო იატაკზე მისი და, — იატაკზე დაგდებულ ნინოს თავზე სისხლი შევამჩნიე, აღარ ვიცოდი რა მექნა და ვიყვირე „მიშველეთ“. მერე კი აღარაფერი აღარ მახსოვს, რა მოხდა, ვინ მომეშველა, — დაამთავრა მოყოლა ჯემალმა და სახეზე შიშნარევი გამომეტყველებით შეაცქერდა ლებანიძეს.

— სახლში მეტი არავინ იყო? — შეეკითხა ჯემალის ყანჩაველი, რომელიც მანამდე ოთახში მდგარ ნივთებს ათვალიერებდა და ცალი ყურით უსმენდა ლებანიძისა და ჯემალის საუბარს.

— არა არავინ, მამა ყოველთვის დილის 5 საათზე მიდის ხოლმე სახლიდან, ტაქსზე მუშაობს ყოველ ინსპექტორი თულიანიც შევიდა მათთან.

— ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, — მიმართა თულიანმა ყანჩაველს, — მე გავიკითხ-გამოვიკითხე მეზობლებში ვინმეს რაიმე ხომ არ შეუმჩნევია ან წინა დღეებში ან წუხელ, ან ვინმეზე ეჭვი ხომ არ აქვს მოკლედ თუ ვინმემ რაიმე იცის აღნიშნული ამბის ირგვლივ და ზოგი რამე დავადგინე.

— მაინც რა დაადგინე ოთარ, აბა მომიყევი გისმენ, — მიუტრიალდა ყანჩაველი თულიანს.

— ჯერ ერთი ის, რომ ქურდები თუ მკვლელები ავტომანქანით ყოფილან, მსუბუქი ავტომანქანით, — დაიწყო თულიანმა, — მხოლოდ ზოგი ამბობს რომ „ზაპოროჟეცითო“, ხოლო ზოგი ამბობს ახალი მანქანითო, ე. ი. „ჟიგულით“, მეორეც ისა, რომ სამნი ან ოთხნი იყვნენო, რადგან ამ სახლის ცოტა ზემოთ მცხოვრებმა ქალმა სთქვა, რომ მე ყოველთვის ძალიან ადრე ვდგებიო და ამ დილით, როცა ავტომანქანის დაქოქვის ხმა გავიგონეთ, ჩემს ჭიშკართან ვიყავი გარეთ გამოვიხედე და დავინახეო, რომ შოთაანთ ეზოდან ორი კაცი სირბილით გამოვიდა და ჩქარა, ასევე სირბილით ჩაჯდნენ უკვე დაქოქილ მანქანაშიო და წავიდნენ ისე, რომ ავტომანქანის კარები მერე დაკეტესო. ეს ის ქალია, ვინც სულ პირველი შემოვიდა ბალაშვილების ოჯახში, გვარად ჯეირანაშვილია, მისმა რძალმა წაიყვანა დაჭრილი გოგო საავადმყოფოში, დაჭრილი თუ უკვე გარდაცვლილი ვინ იცის. ამ ჯეირანაშვილმა მიხედა იატაკზე დაგდებულ, გულწასულ ჯემალის. მესამეც ის, რომ აგერ ამ სახლის წინ მცხოვრებმა მეზობელმა გვარად ფოლადიშვილმა თქვა, რომ ჭიშკარის კარები ძალიან მაგრად მიჯახუნდა და ამ ხმაურზე გამოვიხედე გარეთ და დავინახეო, რომ ჩვენს ქუჩაზე დაღმართზე მანქანა უკვე დიდი სიჩქარით მიდიოდა, ავტომანქანის სახელმწიფო ნომერი არავის შეუმჩნევია — დაამთავრა თავისი მოხსენება თულიანმა და ისეთი თვალებით მიაშტერდა გამომძიებელს, რომ უნდოდა გაეგო ასიამოვნა თუ არა თავისი „აღმოჩენით“.

●

დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი“ № 21.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

## „...ჭადარა თბილისო ჩემო“



ინდექსი 66639

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064. УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები:

რედაქტორი ა. კოჩალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

უე — 00288